საკითხს აშუქებს მომხმარებელი.ge
www.moxmarebeli.ge

№3-416 09.09.2019

შპს სუფთა სახლს
თბილისი, ყაზბეგის 24ა

პატივცემულო ქალბატონო/ბატონო,

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა ახორციელებს სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგს. 2019 წლის მაისში თბილისის სხვადასხვა მაღაზიაში შევიძინეთ პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნაწარმის 35 ნიმუში და ლაბორატორიულად შევამოწმეთ სხვადასხვა პარამეტრზე. 5 ნიმუშში მავნე ნივთიერებები - პარაბენები აღმოჩნდა, რომელთა პარფიუმერიულ-კოსმეტიკურ ნაწარმში გამოყენება ევროკავშირში იკრძალება. მათ შორის იყო თქვენს მაღაზიაში შეძენილი პროდუქტი: **თხევადი ტუჩსაცხი MAT 104 Seville, Manceline, შტრიხკოდის N. 5902082520757.**

პროდუქტის ფოტოს, ლაბორატორიულ დასკვნასა და შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს გიგზავნით დანართად.

გთხოვთ არ დაუშვათ მავნე პროდუქციის რეალიზაცია.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ ინფორმაცია აღწერილი ფაქტის შესახებ გაშუქდა ჩვენს ვებპორტალზე www.momxmarebeli.ge. ინფორმაციაში კონკრეტულად არის მითითებული თქვენი ფირმის დასახელება. იმისთვის, რომ ასეთმა გაშუქებამ თქვენი ინტერესები უსამართლოდ არ დააზიანოს, ჩვენ გაძლევთ საშუალებას დაიცვათ თქვენი ინტერესები შემდეგი შესაძლებლობებით:

- თუ მიგაჩნიათ, რომ ვებპორტალზე თქვენს მიმართ გამოთქმული კრიტიკა არასწორია, თქვენ შეგიძლიათ გამოთქვათ ეს მოსაზრება იქვე, იმავე სტატიაზე კომენტარების საშუალებით. კომენტართან ერთად შეგიძლიათ ატვირთოთ თქვენი სისწორის დამადასტურებელი დოკუმენტები, ფოტოები ან ბმულები. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ თქვენს მიერ ატვირთული მთელი ინფორმაცია უცვლელად, და ჩვენს მიერ გაშუქებული ინფორმაციის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებლებისთვის;
- თუკი ჩვენს მიერ გამოთქმულ კრიტიკას ეთანხმებით, მაგრამ უკვე გამოასწორეთ ის დარღვევა, რომელიც ჩვენს სტატიაშია გაშუქებული, ჩვენ მზად ვართ იგივე მეთოდით გავაშუქოთ ეს გარემოება. ამისთვის თქვენ უნდა დაგვიკავშირდეთ ორგანიზაციის ტელეფონზე და გვაცნობოთ იმის შესახებ, რომ თქვენ გამოასწორეთ დარღვევა და გსურთ ამის დაფიქსირება. ამის შემდეგ ჩვენი წარმომადგენელი გაუფრთხილებლად ეწვევა თქვენს მაღაზიას და, საჭიროების შემთხვევაში, შეისყიდის შესაბამის პროდუქტს. მიღებული შედეგები გაშუქდება

იმავე გვერდზე, სადაც აღმოჩენილ დარღვევაზე იყო საუბარი. გთხოვთ გაითვალისწინოთ; მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად, მიღებული დადებითი შედეგი კიდევ გადამოწმდება, რა თქმა უნდა, მოულოდნელად.

ამავე დროს, გთხოვთ, ჩვენთან ურთიერთობაში შემოიფარგლოთ მხოლოდ გამჭვირვალე მეთოდებით: www.momxmarebeli.ge ვებპორტალზე ან ფეისბუქის შესაბამის გვერდზე (http://www.facebook.com/momxmarebeli.ge) კომენტირებით, ან ორგანიზაციის ტელეფონზე დარეკვით.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი

daisy TECHNOLOGY EXPERT

ს სუფთა სახლი
ყაზბეგის 24ა

202458893

BEGI2-413, ტანელი ... 01
20.00 A

ჯამი: ₾20.00
ბარათი 20.00
სა ჩეკი # 62 #
01 ცალი
გმადლობთ!

* პროგრამული უზრუნველყოფა - BDO

97241 03-06-2019 13:02

DY00154901 FM00267629

| ნლო ზედნადები # | ელ- 0455199667 |
|---|---|

| 3 | 13:08:16 |
|---|---|
| | დრო (საათი, წუთი) |

2458893
პიკაციო/პირადი ომერი

(დღგ-ს გადამხდელი)

| 5 | ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი | 204873618 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 7 | ქ.თბილისი, ყაზბეგის 24ა |
|---|---|
| | ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი) |

| 8 | X |
|---|---|
| | ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი) |

| 10 | X |
|---|---|
| | სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი |

მისაბმელი

X

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | გამყიდველი - 0 |
|---|---|---|
| | | თანხა ლარებში |

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Bell HYPOAllergenic ტუჩის მქრქალი თხევადი საცხი 104 | 5902082520757 | ცალი | 2.0000 | 10.0000 | 20.0000 |

| 13 | 20 - ოცი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|
| | მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად) |

| 14 | |
|---|---|
| | გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი) |

| 15 | |
|---|---|
| | მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი) |

| 16 | |
|---|---|
| | ხელმოწერა |

| 17 | |
|---|---|
| | ხელმოწერა |

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | | |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|


DERMATOLOGIST APPROVED
HYPOAllergenic
MAT